ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.02.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/16

შეკითხვა:

ადვოკატი მუშაობდა იურისტის პოზიციაზე ერთ-ერთ კომპანიაში და არ იყო აღნიშნული კომპანიის ინტერესების წარმომადგენელი სამართლებრივი ურთიერთობების დროს. შემდგომ, მუშაობა განაგრძო კომპანია „ბ“-ში, როგორც ადვოკატად. ამჟამად, კომპანიებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, თუმცა აღნიშნულ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები მისთვის უცნობია და შეხება არ ჰქონია კომპანია „ა“-ში მუშაობის დროს. შეუძლია თუ არა ადვოკატს სასამართლო დავის დროს, წარმოდგინოს კომპანია „ბ“-ს ინტერესები თავდაპირველი კომპანიის წინააღმდეგ.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

განსხილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატი თავდაპირველ კომპანიაში მუშაობდა, იურისტის პოზიციაზე. ამის შემდგომ, როგორც კომპანიის ინტერესების წარმომადგენელმა განაგრძო მუშაობა მეორე კომპანიაში. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს შეკითხვაში აღნიშნულ სასამართლო დავაში კომპანია „ბ“-ს ინტერესები, რაც არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას.

დასკვნა:

ადვოკატი, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში იურისტის პოზიციაზე და შემდგომ განაგრძო მუშაობა, როგორც კომპანიის ადვოკატად მეორე კომპანიაში, აღნიშნულ კომპანიებს შორის წარმოქმნილი სასამართლო დავის შემთხვევაში, რომლის შინაარსი არ უკავშირდებოდა თავდაპირველ კომპანიაში მუშაობას, ადვოკატს შეძულია წარმოადგინოს მეორე კომპანიის ინტერესები კომპანია „ა"-ს წინააღმდეგ.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.